



ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

## სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი საბჭოს დამოუკიდებლობის შესახებ



OPEN SOCIETY  
FOUNDATIONS

მასალის გამოქვეყნება დააფინანსა "[ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდმა](#)" (OSI). ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს" (IDFI) და არ ასახავს "[ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდის](#)" (OSI) პოზიციებს. OSI არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

## სარჩევი

შესავალი.....	2
დავის განმზილველ ორგანოებთან დაკავშირებული ევროკავშირის სტანდარტები.....	3
დამოუკიდებელი ორგანო.....	5
საბჭოს წევრთა დანიშენის წესი.....	6
საბჭოს წევრთა ვადაზე ადრე გათავისუფლების წესები.....	9
საბჭოს წევრთა კვალიფიკაცია.....	10
საბჭოს ფინანსური დამოუკიდებლობა.....	12
დასკვნა.....	12
რეკომენდაციები: .....	14

მაისი, 2020

## შესავალი

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის ვალდებულება აკისრია. ინტეგრაცია თავის მხრივ, საქართველოს მიერ ინსტიტუციური თუ საკანონმდებლო ჩარჩოს ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას გულისხმობს.

ამ დოკუმენტის ფარგლებში ვიმსჯელებთ, თუ რამდენად ჯეროვნად შესრულდა საქართველოს მიერ ხელშეკრულების 143-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულების ერთ-ერთ ასპექტი, კერძოდ, საჯარო შესყიდვების სისტემის სათანადო ფუნქციონირებისთვის აუცილებელი შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩოს - სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა/შენარჩუნება.

143-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანოს ფუნქციაა შემსყიდველი ორგანოს მიერ „[...]ხელშეკრულების დასადავად გამარჯვებულის გამოვლენისას მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა. ამ კონტექსტში „დამოუკიდებელი“ გულისხმობს იმას, რომ ეს ორგანო უნდა იყოს საჯარო დაწესებულება, რომელიც განცალკევებულია ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისაგან და ეკონომიკური ოპერატორებისაგან<sup>1</sup>.

ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით<sup>2</sup>, საქართველოს ხელისუფლებას მიეცა სამი წლის ვადა (ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან), იმისთვის, რომ შეექმნა/გაემძლიერებინა სახელმწიფო შესყიდვებთან წარმოქმნილი დავების განმხილველი მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანო.

აღნიშნულ ინსტიტუციას მნიშვნელოვანი როლი აკისრია: სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის სისტემის შემუშავების ძირითადი მიზანი შესყიდვის მხარეების ნებისითი თუ უნებლიე შეცდომების გამოსწორება და კანონდარღვევის აღმოფხვრა<sup>3</sup>. გარდა ამისა, დავების განმხილველი საბჭოს არსებობა მნიშვნელოვანია პრევენციის მიზნებისთვისაც, საბჭოს გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან შეტყობინებას გზავნის შესაძლო კანონდამრღვევებთან იმის შესახებ, რომ მათი ქმედება შეუმჩნეველი არ დარჩება და საბჭო რეაგირებას მოახდენს.

---

<sup>1</sup>ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, მუხლი 143. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

<sup>2</sup> დანართი XVI-B. ხელმისაწვდომია: <http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/agreement/public-procurements/დანართი%20XVI.pdf>

<sup>3</sup> SIGMA, Brief 25 “Establishing Procurement Review Bodies”, 2013, გვ 2. ხელმისაწვდომია: [http://www.sigmaweb.org/publications/Brief25\\_EstablishingReviewBodiesinPP\\_2013.pdf](http://www.sigmaweb.org/publications/Brief25_EstablishingReviewBodiesinPP_2013.pdf)

შესაბამისად, საინტერესოა, გავანალიზოთ თუ რა ეტაპზეა დღეს საქართველო, აღნიშნული ვალდებულების დაკისრებიდან თითქმის 6 წლის შემდგომ.

## დავის განმხილველ ორგანოებთან დაკავშირებული ევროკავშირის სტანდარტები

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის მექანიზმი ჯერ კიდევ 2010 წლიდან არსებობს, შესაბამისად, მთავრობის ამოცანა არა იმდენად მისი შექმნა იყო, რამდენადაც მისი იმგვარად რეფორმირება, რომ ევროპის კავშირის დადგენილ სტანდარტებს დაახლოებოდა.

გარდა თავად ასოცირების ხელშეკრულების 143-ე მუხლისა, ევროკავშირის სტანდარტები დავის განმხილველ ორგანოებთან დაკავშირებით, შეგვიძლია ამოვიკითხოთ შესაბამის დირექტივებში (კერძოდ ე. წ. remedies directives)<sup>4</sup>, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში<sup>5</sup>.

ეწ remedies directives წევრ ქვეყნებს ავალდებულებს საჯარო შესყიდვების სფეროში უზრუნველყონ გასაჩივრების პროცედურა<sup>6</sup>. ამ დირექტივების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, რომელიც იმავდროულად საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაცაა, განმხილველი ორგანოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. დამოუკიდებლობაში იგულისხმება, როგორც ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, ასევე, ოპერაციული, ორგანოს შიგნით დასაქმებულთა დამოუკიდებლობა<sup>7</sup>. სწორედ დამოუკიდებლობა განაპირობებს განხილვის პროცედურების დამაჯერებლობასა და სარწმუნოებას<sup>8</sup>.

ევროპის კავშირის წევრი ქვეყნები თავისუფალნი არიან აირჩიონ, თუ როგორი ტიპის ორგანოს მიანდობენ დავების ეფექტურ განხილვას: საერთო სასამართლოებს, სპეციალიზებულ ადმინისტრაციულ ორგანოებს თუ მათ ერთგვარ კომბინაციას<sup>9</sup>. თუმცა, ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ერთობლივი ინიციატივა, SIGMA (მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების მხარდაჭერა) მიიჩნევს, რომ დავების განხილვაზე სპეციალიზებული ორგანოებს რამდენიმე უპირატესობა

<sup>4</sup> Directive 89/665/EEC; Directive 92/13/EEC; Directive 2007/66/EC (ამ უკანასკნელმა, წინა ორი დირექტივა შეცვალა).

<sup>5</sup>C-54/96 Dorsch Consult Ingenieurgesellschaft mbH v Bundesbaugesellschaft Berlin mbH; C-203/14 Consorci Sanitari del Maresme v Corporacio de Salut del Maresme i la Selva.

<sup>6</sup> დირექტივა 2007/66/EC პირველი მუხლის მე-3 პუნქტი. ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32007L0066&from=EN>

<sup>7</sup> SIGMA, Brief 25 “Establishing Procurement Review Bodies”, 2013, გვ. 7.

<sup>8</sup> Idem.

<sup>9</sup> SIGMA, Brief 25 “Establishing Procurement Review Bodies”, 2013, გვ. 3.

გააჩნიათ, განსაკუთრებით ევროპის კავშირის წევრებისა თუ წევრობის კანდიდატი ქვეყნებისთვის. როგორც წესი, სპეციალიზებულ ორგანოებში, საბჭოებში დავის წარმოება უფრო მარტივი და სწრაფია, ვიდრე იქნებოდა ჩვეულებრივ სასამართლოში. გარდა ამისა, საქმის წარმოების ხანგრძლივობისა და იურიდიული წარმომადგენლის ყოლაზე ნაკლებად მკაცრი წესების გამო, აქ, სამართალწარმოების ხარჯი სავარაუდოდ უფრო ნაკლებია<sup>10</sup>.

ევროპის რეკონსტრუქციისა და რეგიონალური ბანკის შეფასებით კი, ამგვარი ორგანოების უპირატესობა ისაა, რომ ისინი ქმნიან ინსტიტუციურ მეხსიერებას, აგროვებენ ექსპერტიზას და ავრცელებენ ცოდნასა და ინფორმაციას. ამასთანავე, ერთგვარი განტვირთვის ფუნქციასაც ასრულებენ საქმეთა სასამართლოსგან „გადმოქაჩვით“. დამოუკიდებელი საბჭოები აძლიერებენ სისტემის ნდობას მისი თანმიმდევრული პრაქტიკის წყალობით<sup>11</sup>.

დირექტივა 2007/66/EC-ის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ განმხილველი ორგანო სასამართლო ბუნების მქონე არაა, გადაწყვეტილება აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა მიიღებოდეს და ექვემდებარებოდეს გასაჩივრებას სასამართლოში<sup>12</sup>. დირექტივის თანახმად, დავების განხილვისათვის შექმნილი დამოუკიდებელი ორგანოს წევრების დანიშვნასა და მათ მიერ თანამდებობის დატოვებაზე უნდა ვრცელდებოდეს ისეთივე წესი, როგორც მოსამართლეებზე ვრცელდება (მაგ: მათ წარდგენაზე, დანიშვნაზე უფლებამოსილი პირები, თანამდებობის დაკავების ვადა, გათავისუფლების საფუძვლები). მინიმალური სტანდარტის თანახმად სულ მცირე ორგანოს თავმჯდომარე უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლისთვის კანონით დადგენილ სამართლებრივ და პროფესიულ კვალიფიკაციას<sup>13</sup>.

საინტერესოა, შემოწმდეს, თუ რამდენად აკმაყოფილებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნას „რეფორმირებული“ დავების საბჭო. ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის გასაჩივრების შესაძლებლობა, როგორც აღინიშნა, უკვე არსებობდა, თუმცა საბჭო ფუნქციონირებდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ფარგლებში<sup>14</sup>. ხელმოწერიდან სამ თვეში „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ“ სააგენტოს თავმჯდომარი ბრძანებაში ჩაიწერა, რომ საბჭო თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია<sup>15</sup>.

<sup>10</sup> Ibid, გვ. 4.

<sup>11</sup>European Bank for Reconstruction and Development (EBRD), “Review of laws and practice in the EBRD region”, 2011, გვ. 159. ხელმისაწვდომია: <https://www.ebrd.com/downloads/legal/procurement/ppreport.pdf>

<sup>12</sup> დირექტივა 2007/66/EC, მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი.

<sup>13</sup> Idem.

<sup>14</sup>საქართველოს კანონი „საჯარო შესყიდვების შესახებ“, კონსოლიდირებული ვერსია (21/03/2014 - 31/10/2014).

<sup>15</sup>2014 წლის 25 სექტემბის ცვლილებით.

## დამოუკიდებელი ორგანო

დავების განმხილველი ორგანოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის თაობაზე ასოცირების ხელშეკრულებით და რელევანტური დირექტივებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება მხოლოდ 2017 წლის დეკემბერში დაიწყო (ასოცირების ხელშეკრულების დანართი XVI-B განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ). კანონში გაჩნდა ჩანაწერი, რომელიც დღესაც მოქმედია, კერძოდ, საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების პროცესთან დაკავებული დავებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი დავების განხილვის საბჭო განიხილავს, რომლის შექმნის მიზანია საქმეთა „სწრაფად, ეფექტიანად და სამართლიანად“ გადაწყვეტა. საბჭო „[...]არ ექვემდებარება არცერთ ორგანოს ან/და თანამდებობის პირს“<sup>16</sup>. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებამ კი კანონში შესული ცვლილებები ასახა და კვლავ გაიმეორა, რომ „საბჭო კანონის საფუძველზე შექმნილი მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანოა“<sup>17</sup>.

ერთი შეხედვით, სახელმწიფომ გადადგა ნაბიჯები საბჭოს იმგვარად რეფორმირებისკენ, რასაც ასოცირების ხელშეკრულება და ევროკავშირის რელევანტური დირექტივები გვავალდებულებს. კანონში მკაფიოდ გაიწერა, რომ საბჭო დამოუკიდებელია, მისი გადაწყვეტილებები წერილობით საბუთდება და ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას. თუმცა, ამ ცვლილებებმა არ უნდა დაგვაზნოს. უნდა დაისვას შეკითხვა, რამდენად შეიცვალა რეალობა საკანონდებლო ცვლილების შემდეგ, საკმარისი იყო თუ არა საბჭოსთვის ზემოაღნიშნული რამდენიმე წინადადებით მინიჭებული დამოუკიდებლობა, არის კი თუ არა ეს ის დამოუკიდებლობა, რომლის შექმნის ვალდებულებაც ასოცირების ხელშეკრულებით გვაკისრია?

ვფიქრობთ, პასუხი უარყოფითია. რეალურად, სახელმწიფომ ისედაც ნაგარაუდები დამოუკიდებლობა სიტყვიერად გამოხატა, სამართლებრივად კი არაფერი შეცვლილა. ცვლილებები „კოსმეტიკურია“. საბჭო კვლავაც ისე კომპლექტდება, როგორც 2010 წელს. საბჭოს აპარატს აქვს იგივე ფუნქციები, რაც ჰქონდა 2014 წლამდე.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი ორგანოს ეფექტურობის შესაფასებლად, მის მიერ კანონით დადგენილი წესების დაცვა შესაძლოა საკმარისი არ იყოს. ორგანო იმგვარად უნდა იყოს სტრუქტურული, რომ გარეშე დამკვირვებელს მის დამოუკიდებლობაში ეჭვი არ შეეპაროს. კანონისმიერი სტატუსი „დამოუკიდებელი ორგანო“ შესაძლოა მხოლოდ ფურცელზე გაწერილ სტატუსად დარჩეს, თუკი დავის განმხილველი ორგანოს დამოუკიდებლობის გზაზე სხვადასხვა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არ იქნება გათვალისწინებული, როგორცაა საბჭოს ინსტიტუციური და შიდა დამოუკიდებლობა,

<sup>16</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>17</sup> 2018 წლის 8 თებერვლის „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ №1 ბრძანება.

ფინანსური დამოუკიდებლობა, საბჭოს წევრთა დაკომპლექტების წესები, საბჭოს წევრთა განათლება და ა.შ.

## საბჭოს წევრთა დანიშვნის წესი

დამოუკიდებლობის გზაზე ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი ასპექტია პირის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესები. როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროკავშირის სტანდარტებით საბჭოს წევრების დანიშვნასა და მათ მიერ თანამდებობის დატოვებაზე უნდა ვრცელდებოდეს ისეთივე წესები, როგორც მოსამართლეებზე ვრცელდება.

ილუსტრაციისთვის შეგვიძლია განვიხილოთ ორი ქვეყნის, სლოვენიისა და ხორვატიის, მაგალითები. ამ ქვეყნებს ახლო წარსულში სწორედ იმ სამართლებრივ დოკუმენტებთან მოუწია სისტემის ჰარმონიზება და იმ გზების გავლა, რაც საქართველოს. სწორედ აღნიშნულის გამო არის ეს ქვეყნები ჩვენი მიზნებისთვის რელევანტური.

მიუხედავად იმისა, რომ დავების განმხილველი საბჭო სლოვენიაში 1999 წლიდან არსებობს, ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, 2013-2014 წლებში შესყიდვების სისტემა და მათ შორის საბჭო, დაექვემდებარა მნიშვნელოვან რეფორმებს. ხორვატიის შესყიდვების კონტროლის სახელმწიფო კომისია კი 2003 წელს შეიქმნა ევროპის კავშირსა და ხორვატიას შორის დადებული ხელშეკრულებისა და ე.წ. remedy treaties საფუძველზე.

სლოვენიის დავების განმხილველი კომისია სპეციალიზებული, დამოუკიდებელი და ავტონომიური ორგანოა. კომისია შედგება 7 წევრისგან, რომლებიც ინიშნებიან საკანონმდებლო ორგანოს მიერ, პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის, საჯარო სამსახურისა და არჩევნების კომისიის წარდგინებით, 8 წლის ვადით (ხელახლა არჩევის შესაძლებლობით)<sup>18</sup>.

ხორვატიის დავების განმხილველი კომისია შედგება 9 წევრისაგან (თავმჯდომარე, მისი ორი მოადგილე და სხვა 6 წევრი). კომისიის წევრი მთავრობის წარდგინებით პარლამენტის მიერ ინიშნება 5 წლის ვადით (ხელახლა არჩევის შესაძლებლობით). კომისია ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე<sup>19</sup>.

საქართველოში კი, ჩვეულებრივ, საბჭო ოპერირებს ექვსწევრიანი შემადგენლობით<sup>20</sup>, ხოლო საგამონაკლისოდ, საბჭო ათწევრიანი შემადგენლობით განიხილავს დავას, თუკი „[...]

<sup>18</sup>Law on Legal Protection in Public Procurement Procedures, მუხლი 61. ხელმისაწვდომია: <http://www.pisrs.si/Pis.web/pregledPredpisa?id=ZAKO5975>

<sup>19</sup>Law About the State Commission for Control of Public Procurement Procedures, მუხლი 7. ხელმისაწვდომია: [https://narodne-novine.nn.hr/clanci/sluzbeni/2013\\_02\\_18\\_293.html](https://narodne-novine.nn.hr/clanci/sluzbeni/2013_02_18_293.html)

<sup>20</sup>„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 23.2

სახელმწიფო შესყიდვის სავარაუდო ღირებულება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს (აღმატება)<sup>21</sup>“. საბჭოს ხელმძღვანელია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე. საბჭო გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით იღებს, ხმების გაყოფისას კი, თავმჯდომარის ხმაა გადაწყვეტი<sup>22</sup> (აღნიშნული, საყურადღებოა იმ ფონზე, საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად სააგენტოს თავმჯდომარეც არის).

საბჭოს წევრები 1 წლის ვადით ინიშნებიან<sup>3</sup>. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანება დამატებით აღნიშნავს, რომ საბჭოს 3 წევრი სააგენტოს წარმომადგენელია, მათგან ერთი სააგენტოს თავმჯდომარე, ხოლო ორი მის მიერვე განსაზღვრული სააგენტოს თანამშრომელი, 3 კი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელია, რომელსაც ირჩევენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

სლოვენისა და ხორვატიისგან განსხვავებით, დავების განმხილველი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა ძალიან მცირეა, რაც, ვფიქრობთ, საბჭოს წევრის ფუნქციების არაადეკვატურია. ასევე, ვადის სიმცირე პასუხისმგებლობის განცდას, შესაძლოა, ამცირებდეს.

უმნიშვნელოვანესია, საბჭო კომპლექტდება იმ ორგანოს მიერ, რომლის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს, inter alia, სახელმწიფო შესყიდვებთან რელევანტური ნორმატიული აქტების შემუშავება, შესყიდვების ბაზის შექმნა და ზედამხედველობა, შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა, შესყიდვების პროცედურების კანონიერებაზე ზედამხედველობა, უკანონობის გამოაშკარავება და შესაბამისი რეაგირება<sup>24</sup> და ა.შ. უფრო მეტიც, აღნიშნული ორგანოს წარმომადგენლები იმავდროულად არიან საბჭოს წევრებიც. შესაბამისად, „შეუიარაღებელი თვალითაც“ ჩანს პრობლემა, თუ რატომ შეიძლება საუბარი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ხარვეზებზე.

აღნიშნულის პრობლემურობას კიდევ უფრო ამდაფრებს ის ფაქტი, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია საბჭოს საქმიანობის ტექნიკურად უზრუნველყოფაა. ამ მიზნით სააგენტოს „შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ასრულებს საბჭოს აპარატის ფუნქციებს“<sup>25</sup>. ტექნიკური უზრუნველყოფის განმარტება ბუნდოვანი და

---

<sup>21</sup>Ibid, მუხლი 23.3 ამ შემთხვევაში საბჭოს 6 წევრს ემატება „კონკურენციის სააგენტოს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს ბიზნესომბუდსმენის თითო წარმომადგენელი, აგრეთვე აკადემიური წრეების შესაბამისი პროფილის 1 წარმომადგენელი“.

<sup>22</sup> Ibid, მუხლი 24.2.

<sup>23</sup>Ibid, მუხლი 23.4, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ №1 ბრძანება, მუხლი 6 პუნქტი 2.

<sup>24</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4.

<sup>25</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ №1 ბრძანება, მუხლი 15 პუნქტი 1.



დამაბნეველიცაა. ცალსახაა, რომ საბჭოს აპარატს მინიჭებული აქვს მეტი უფლებამოსილება, ვიდრე ეს სიტყვა ტექნიკურის ჩვეული განმარტებიდან ივარაუდება, კერძოდ, ის იხილავს საჩივრის დასაშვებობის საკითხს; უძღვება დავებისთვის მოსამზადებელ პროცედურებს; ორგანიზებას უწევს სხდომებს; ადგენს ოქმებსა და შიდაუწყებრივ დოკუმენტაციებს; ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს საბჭოს წევრების არჩევის პროცესს<sup>26</sup>.

ვფიქრობთ, მანამ, სანამ დავების განმხილველი საბჭოს წევრების დანიშვნაზე პასუხისმგებელია სააგენტოს თავმჯდომარე, სანამ წევრების მინიმუმ ნახევარი იმავდროულად არის სააგენტოს თანამშრომელია, სანამ საბჭოს საქმიანობას „ტექნიკურად უზრუნველყოფს“ სააგენტოს სტრუქტურული ერთეული, რთული იქნება იმის მტკიცება, რომ საბჭოზე არასათანადო პოლიტიკური ზეგავლენები მინიმიზებულია. თუკი, ტენდერის მონაწილეებს დარჩებათ აღქმა, რომ დავების განმხილველი საბჭო სამთავრობო იერარქიის ნაწილია, ის მიზნები, რისთვისაც პირველ რიგში აუცილებელია დავის განმხილველი სისტემის შექმნა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

გარდა ამისა, ვიღებთ რეალობას, რომელშიც მარეგულირებელი ორგანოს (რომელმაც თეორიულად, შესაძლოა, კანონით გათვალისწინებული ფუნქციის შესრულების დროს კონსულტაცია გაუწიოს შესყიდვებში მონაწილე პირს) წევრი, იმავდროულად არის გადაწყვეტილების მიმღები პირი იმ საქმეზე, რომელშიც კონსულტაცია გასწია. სიტუაცია უფრო დამძიმდება თუ აღმოჩნდება, რომ წარმოება სააგენტოს არასწორი რეკომენდაციის გამო არის დაწყებული. „უფრო მეტიც, შესყიდვის ერთ-ერთი მეთოდის გამოყენებისას – კონსოლიდირებული ტენდერის შემთხვევაში, სააგენტო პირდაპირ ჩართულია შესყიდვის პროცესის მხარდაჭერაში – ამუშავებს სატენდერო პირობების პროექტს, ათავსებს პირობებს ელექტრონულ სისტემაში და აცხადებს კონსოლიდირებულ ტენდერს. დავის წარმოშობის შემთხვევაში სააგენტო ერთ-ერთ მხარედ გვევლინება [...]“<sup>27</sup>. ამგვარად, საბჭო ერთდროულად ხდება მარეგულირებელიც, დაქვემდებარებულს, მაკონტროლებელი ორგანოც და მოსამართლეს, რა შემთხვევაშიც ინტერესთა კონფლიქტის არსებობა გარდაუვალია<sup>28</sup>.

სახელმწიფო ამ რისკების დაზღვევისა თუ დაბალანსების გზად საბჭოში არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების დანიშვნას გვთავაზობს. უფრო მეტიც, აცხადებს, რომ „საქართველომ ინოვაციური მიდგომა გამოიყენა, როცა შესაძლებელი გახადა, რომ საბჭოს წევრების ნახევარი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ყოფილიყვნენ“<sup>29</sup>. აღნიშნული ინოვაცია, და სამოქალაქო საზოგადოების მიერ სამი წევრის დანიშვნის წესები,

<sup>26</sup> Ibid, მუხლი 15.

<sup>27</sup> „საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში 2014-2019 წლებში ვალდებულებების შესრულების მიმოხილვა“, ნატალია ბარათაშვილი, გვ 21.

<sup>28</sup> SIGMA, Brief 25 “Establishing Procurement Review Bodies”, 2013, გვ 8.

<sup>29</sup> სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი, გვ 40. ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/uploads/other/22/22585.pdf>.

ვერ დააზღვევენ საბჭოში მაგ: ე.წ GONGO-ს წევრის დანიშვნას, რაც კიდევ უფრო გაზრდის ხელისუფლების გავლენას საბჭოზე.

## **საბჭოს წევრთა ვადაზე ადრე გათავისუფლების წესები**

რაც შეეხება დავის განმხილველი ორგანოს წევრების გათავისუფლებას, სლოვენიაში კომისიის წევრის გათავისუფლებაზე უფლებამოსილიც საკანონმდებლო ორგანოა, უფლებამოსილების შეჩერების ზოგადი საფუძველია პირადი განცხადება, სლოვენიის მოქალაქეობის დაკარგვა, გარდაცვალება, ქმედუნარიანობის დაკარგვა<sup>30</sup>. წევრის ვადაზე ადრე უფლებამოსილებიდან გათავისუფლების საფუძველია კანონით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ვეღარ დაკმაყოფილება, ისეთ დანაშაულის ჩადენაში ბრალდება, როგორცაა სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული დანაშაულები, განზრახი დანაშაული, რომლისთვის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადაც 6 თვეს აღემატება, ან გათვალისწინებული პატიმრობის ვადა მართალია არ აღემატება 6 თვეს, თუმცა წევრს ხდის თანამდებობისთვის შეუფერებელს და ივარაუდება რომ ვერ შეძლებს უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელებას<sup>31</sup>.

ხორვატიაშიც კომისიის წევრის ვადაზე ადრე გათავისუფლების უფლებამოსილება მთავრობის წარდგინების საფუძველზე გააჩნია პარლამენტს, თუკი პირს თავად სურს გადადგომა, ვეღარ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დაუსაბუთებელი მიზეზით ვეღარ ასრულებს მოვალეობას, მოვალეობის შესრულებისას არღვევს კანონს, ბღალავს წევრის და ზოგადად, კომისიის რეპუტაციას, მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას<sup>32</sup>.

შედარებისთვის, საქართველოში გარდა იმ საფუძველებისა, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო მოხელეთათვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის ზოგად საფუძველებში (მაგ: გარდაცვალება, განცხადება, ქმედუნარიანობის დაკარგვა და აშ), ბრძანება საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის კიდევ ერთ საფუძველს ითვალისწინებს: მისი გათავისუფლება წარმდგენი ორგანოდან<sup>33</sup>.

აღსანიშნავია, რომ წევრთა უფლებამოსილების ვადის გასვლამდე გათავისუფლების შესაძლებლობა, ძალზედ ლიმიტირებული უნდა იყოს და კანონში მკაფიოდ ჩამოყალიბებული წინაპირობები უნდა გააჩნდეს. საქართველოში საბჭოს წევრთა

<sup>30</sup> Law on Legal Protection in Public Procurement Procedures, მუხლი 61g.

<sup>31</sup> Ibid, მუხლი 61h.

<sup>32</sup> Law About the State Commission for Control of Public Procurement Procedures, მუხლი 12.

<sup>33</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ №1 ბრძანება, მუხლი 14.

უფლებამოსილების საკითხი მოკლედ არის გაწერილი არა კანონში, არამედ კანონქვემდებარე აქტში (რაც, თავის მხრივ, ასევე პრობლემას წარმოადგენს). SIGMA-ს თანახმად, პირის გათავისუფლებაზე უფლებამოსილი უნდა იყოს იგივე ორგანო, რომელმაც ის დანიშნა. ჩვენს რეალობაში, პირი შესაძლებელია დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლოს პირმა/ორგანომ, რომელსაც ის არ დაუნიშნავს წევრად. ასევე, მარტივად არის შესაძლებელი პირი თანამდებობიდან გათავისუფლდეს, იმ მიზნით რომ მას შეუწყდეს საბჭოს წევრის უფლებამოსილება. კანონქვემდებარე აქტშიც კი ვერ ვხვდებით მოცემული პროცესის დეტალიზირებულ აღწერას. ზოგადად, რაც უფრო დამოუკიდებელია დამნიშნავი პირი/ორგანო, მით უფრო ნაკლებად სარისკოდ და მიუკერძოებლად შეიძლება მიიჩნეს გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტა<sup>34</sup>. სააგენტო ვერ ამცირებს აღნიშნულ რისკებს. უფრო მეტიც, შესაძლოა თავად გახდეს მომეტებული რისკის წყარო, რადგან ის ორგანიზაციულად დამოუკიდებელი არ არის, პირდაპირ ექვემდებარება ე.წ სამთავრობო იერარქიას.

ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, საბერძნეთის კონკურენციის სააგენტოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის შეფასებისას, მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნია, ის რომ მიუხედავად სააგენტოს ოპერაციული დამოუკიდებლობისა და კანონის ჩანაწერისა, რომლის თანახმადაც სააგენტო უფლებამოსილების განხორციელებისას მხოლოდ კანონს უნდა ემორჩილებოდეს, მაინც არ არსებობდა სააგენტოს წევრთა სამსახურებრივი ხელშეუხებლობის მყარი და კონკრეტული გარანტიები. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამგვარი სისტემა, ცხადია, ვერ შექმნის გარანტიას, იმისა რომ სააგენტოს საქმიანობაში ხელისუფლება გაუმართლებლად არ ჩაერევა და სააგენტოს წევრები დაცულები იქნებიან სამთავრობო ზეწოლისგან. სასამართლომ დამოუკიდებლობის შეფასებისას გამოყო ფაქტი, რომ ბერძნული კანონმდებლობით, სააგენტოს თავმჯდომარე მისი უწყების სამდივნოს კოორდინაციასა და პოლიტიკის წარმართვაზე უფლებამოსილი პირია, რაც მას დასაქმებულთა ზედამხედველად და მათზე დისციპლინარული წარმოების უფლებამოსილი პირად აქცევდა<sup>35</sup>.

## **საბჭოს წევრთა კვალიფიკაცია**

საბჭოს დამოუკიდებლობის გზაზე, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია განმხილველ ორგანოს წევრების განათლება და კვალიფიკაცია, ვინაიდან მათ ევალებათ არამხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში გათვითცნობიერება, არამედ მათ უნდა ჰქონდეთ უნარი, შეაფასონ მტკიცებულებები და მიიღონ დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილებები<sup>36</sup>. სწორედ

<sup>34</sup>SIGMA, Brief 25 “Establishing Procurement Review Bodies”, 2013, გვ 9.

<sup>35</sup>Synetairismos Farmakopoion Aitolias & Akarnanias (Syfait) and Others v GlaxoSmithKline plc and GlaxoSmithKline AEVE, პარაგრაფები 30-32. ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:62003CJ0053&from=en>

<sup>36</sup> SIGMA, Brief 25 “Establishing Procurement Review Bodies”, 2013, გვ 12.

ამიტომ, დირექტივები ითვალისწინებს საკმაოდ მაღალ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დირექტივის თანახმად, დანიშვნის წესები მოსამართლეთა დანიშვნის წესების მსგავსი უნდა იყოს და მინიმუმ ორგანოს თავმჯდომარე მაინც უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლისთვის კანონით დადგენილ სამართლებრივ და პროფესიულ კვალიფიკაციას).

სლოვენიაში კომისიის წევრად არჩევის ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნაა, პირი იყოს მინიმუმ 35 წლის, ქმედუნარიანი, ნასამართლობის არმქონე სლოვენის მოქალაქე. აუცილებელია, ვაკანსიის გამოცხადებამდე კანდიდატი 3 წელი მაინც არ იყოს ჩართული პოლიტიკური პარტიის საქმიანობაში, გააჩნდეს მინიმუმ 9 წლიანი გამოცდილება საჯარო შესყიდვების დარგში და არსებობდეს გონივრული მოლოდინი, რომ ის დაკისრებულ ფუნქციას შეასრულებს პროფესიონალურად, ღირსეულად, დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად<sup>37</sup>. ამასთანავე, კომისიის თავმჯდომარეს და სამ წევრს უნდა გააჩნდეთ უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობაში<sup>38</sup> ან მის მომიჯნავე პროფესიაში.

ხორვატიის დავების განმხილველი საბჭოს წევრობისთვის საჭიროა პირი იყოს ხორვატიის მოქალაქე, რომელსაც არ აქვს ნასამართლეობა, არ არის პოლიტიკური პარტიის ან ისეთი გაერთიანების წევრი, რამაც შესაძლოა შექმნას ინტერესთა კონფლიქტი. კომისიის წევრი არ უნდა ფლობდეს კომპანიაში 0.5% წილზე მეტს და არ უნდა იყოს რომელიმე კომპანიის აღმასრულებელი საბჭოს წევრი<sup>39</sup>.

გარდა ამისა, თავმჯდომარესა და სულ მცირე 4 წევრს უნდა გააჩნდეს იურისტის დიპლომი და ჩაბარებული ჰქონდეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა. გამოცდის ჩაბარების შემდგომ უნდა გააჩნდეს მინიმუმ 10 წლიანი პროფესიული გამოცდილება, აქედან სულ მცირე სამი წელი საჯარო შესყიდვების სფეროში. დანარჩენ წევრებს უნდა გააჩნდეთ დიპლომი სამართლის, ეკონომიკის ან სხვა ტექნიკური მიმართულების დარგში, ჰქონდეთ მინიმუმ 10 წლიანი პროფესიული გამოცდილება, აქედან სულ მცირე სამი წელი საჯარო შესყიდვების სფეროში<sup>40</sup>.

შედარებისთვის, საქართველო გაცილებით დაბალი სტანდარტით ხელმძღვანელობს. კერძოდ, საბჭოს წევრები სრულყოფილად უნდა ფლობდნენ ქართულ ენას და გააჩნდეთ სამართლის, ეკონომიკის ან ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი<sup>41</sup>. რაც შეეხება თავმჯდომარეს, მასზე მხოლოდ ის ვიცით, რომ ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერი, ვინაიდან ის იმავდროულად სააგენტოს თავმჯდომარეცაა.

---

<sup>37</sup> Law on Legal Protection in Public Procurement Procedures, მუხლი 61b.

<sup>38</sup> Ibid, მუხლი 61a.

<sup>39</sup> Law About the State Commission for Control of Public Procurement Procedures, მუხლი 12.

<sup>40</sup> Ibid, მუხლი 9.

<sup>41</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ №1 ბრძანება, მუხლი 2.

## საბჭოს ფინანსური დამოუკიდებლობა

საყურადღებო ფაქტორია საბჭოს დაფინანსების საკითხიც. SIGMA მიიჩნევს, რომ სპეციალიზებული განხილვის ორგანო უნდა იყოს ფინანსურად დამოუკიდებელი და გააჩნდეს საკუთარი ბიუჯეტი, რადგან სათანადო დაფინანსება აუცილებელია ორგანოს დამოუკიდებლობის გარანტიისა და საჭირო პროფესიონალთა დასაქირავებლად. ფინანსური უსაფრთხოება წარმოადგენს არამხოლოდ კრებსითად დაწესებულების დამოუკიდებლობის გამყარების ერთ-ერთ გზას, არამედ ასევე იძლევა საბჭოს ინდივიდუალური წევრების მიუკერძოებლობის უფრო მეტ გარანტიას. ამგვარ თანამდებობაზე მყოფი პირები შესაძლოა ნებისმიერ დროს აღმოჩნდნენ ფინანსური ცდუნების წინაშე, განსაკუთრებით, ისეთ ქვეყნებში, სადაც საჯარო სექტორში დაბალი ანაღურებაა<sup>42</sup>.

სლოვენიაში კომისიას აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომლის განკარგვაში, სრულიად თავისუფალია<sup>43</sup>. წევრებს აქვთ ხელფასი და აქვთ სახელმწიფო მოხელის სტატუსი, რაც დამატებით ქმნის გარანტიებს მათი დამოუკიდებლობისთვის<sup>44</sup>. ხორვატიაში კომისია ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ითვალისწინებს ხელფასების, ექსპერტების, მატერიალური ხარჯების, ტექნიკური აღჭურვილობის თანხებს<sup>45</sup>.

შედარებისთვის, საქართველოში დავების განმხილველ საბჭოს არ აქვს დამოუკიდებელი ფინანსური რესურსი, ბიუჯეტი. უფრო მეტიც, საბჭოს წევრები თავის უფლებამოსილებას ასრულებენ ანაზღაურების გარეშე, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის ზემოთ აღნიშნულ რისკებსა და საფრთხეებს.

## დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებთ საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების 143-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვან შესრულებას. ვფიქრობთ, დავების განმხილველი საბჭოს დამოუკიდებლობის ინსტიტუციური ჩარჩო ჯერ კიდევ შორსაა იმ სტანდარტებისგან, რომელსაც ევროპის კავშირთან ხელმოწერილი შეთანხმება გვავალდებულებს.

უმნიშვნელოვანესია, საბჭოს მოწყობა, დაკომპლექტების წესი ობიექტურ დამკვირვებელში არ ტოვებდეს კითხვის ნიშნებს მისი რეალური დამოუკიდებლობის შესახებ. იმ შემთხვევაშიც კი,

<sup>42</sup> SIGMA, Brief 25 “Establishing Procurement Review Bodies”, 2013, გვ. 9-10.

<sup>43</sup> Law on Legal Protection in Public Procurement Procedures, მუხლი 60 პუნქტი 3.

<sup>44</sup> Ibid, მუხლი 61.

<sup>45</sup> Law About the State Commission for Control of Public Procurement Procedures, მუხლი 17.

თუ ორგანო ტექნიკურად დამოუკიდებელია შესყიდვებში მონაწილე ყველა აქტორისგან, მნიშვნელოვანია, რა ადგილს იკავებს ის სახელმწიფო აპარატის იერარქიაში. აუცილებელია, დავის განმხილველი სისტემის იმგვარად მოწყობა, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ეჭვი მისი დამოუკიდებლობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი, როგორც ინსტიტუციის მიმართ, ნდობის დაკარგვას, ხელშესახები უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია მთლიანად შესყიდვების სისტემაზე. ადამიანები უარს იტყვიან იმ სარგებელზე, ზოგადად, რისთვისაც უნდა შეიქმნას ფუნქციონირებადი და ეფექტური სისტემა<sup>46</sup>. შედეგად, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის სისტემის ძირითადი მიზანი, გადაცდომებისა და შეცდომების გამოსწორება, მიუღწეველი დარჩება.

გამჭვირვალობის სტანდარტის გასაუმჯობესებლად, საზოგადოებაში არსებული კითხვებზე პასუხის გასაცემად და ზოგადად, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სამართლიანობაში, დაინტერესებულ პირთა ნდობის მოსაპოვებლად, უცხო ქვეყნის ხელისუფლებები სულ უფრო და უფრო მაღალ გამჭვირვალობის სტანდარტს ქმნიან. მაგალითად, სომხეთის დავების განხილვის საბჭომ 2015 წლიდან მის დამოუკიდებლობაზე არსებული ეჭვების გასაფანტად, გადაწყვეტილების პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, დავების საბჭოს სხდომების ელექტრონულად გაშუქება დაიწყო<sup>47</sup>. სასურველია, თუკი საქართველოც შექმნის შესყიდვების სფეროში ამგვარი ღიაობის მორიგ პრეცედენტს, მით უმეტეს, რომ დავის განხილვების ტრანსლაცია Live რეჟიმში ჩვენი რეალობისთვის ნოვაცია არ არის. აღნიშნულ მეთოდს უკვე იყენებს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

საჯარო დაწესებულება, რომელიც განცალკევებულია ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისაგან და ეკონომიკური ოპერატორებისაგან	?
გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით მიიღება	√
გადაწყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას სასამართლოში	√
წევრების დანიშვნასა და მათ მიერ თანამდებობის დატოვებაზე ვრცელდება ისეთივე წესები, როგორებიც მოსამართლეებზე	×
მინიმუმ ორგანოს თავმჯდომარე მაინც უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლისთვის კანონით დადგენილ სამართლებრივ და პროფესიულ კვალიფიკაციას	×
ფინანსური დამოუკიდებლობა	×
კვალიფიკაციის მაღალი დონე	×

<sup>46</sup> SIGMA, Brief 25 “Establishing Procurement Review Bodies”, 2013, გვ. 8.

<sup>47</sup><https://www.tpp-rating.org/page/eng/publications/12?fbclid=IwAR1h4-SrR-ptmi5CIZQPQQKsXBWPmMEBGrprMVYk9umgPX3ugJBrLTDp0w>

## რეკომენდაციები:

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების 143-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით და მოქალაქეთა მიერ დავების განმხილველი საბჭოს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოდ აღსაქმელად, აუცილებელია გადაიდგას მთელი რიგი საკანონმდებლო ნაბიჯები, კერძოდ:

- უნდა შემუშავდეს საბჭოს წევრთა დანიშვნისა და ვადაზე ადრე გათავისუფლების ახალი წესები, რომელიც ხელს შეუწყობს საბჭოს ინსტიტუციურ თუ ოპერაციულ დამოუკიდებლობას. არსებული პრაქტიკისგან განსხვავებით, დანიშვნისა და გათავისუფლების დეტალური წესები უნდა გაიწეროს არა კანონქვემდებარე აქტში, არამედ კანონში;
- უნდა შემუშავდეს საბჭოს წევრობისთვის მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სულ მცირე საბჭოს თავმჯდომარე უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლისთვის არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მოთხოვნების შემუშავებისას გასათვალისწინებელია ის, რომ კვალიფიკაციის ამ მინიმალურმა სტანდარტმა, უნდა უზრუნველყოს საბჭოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება, რომელიც დაფუძნებულ იქნება მტკიცებულებათა სიღრმისეულ შეფასებაზე;
- უნდა გაიზარდოს დავების განმხილველი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა; ვადა უნდა იყოს იმ უმნიშვნელოვანესი მიზნისა და ფუნქციის პროპორციული, რასაც კანონმდებელი აკისრებს დავების განხილვის საბჭოს;
- ინტერესთა კონფლიქტის მინიმუმამდე დასაყვანად უნდა შეიცვალოს დავების განმხილველი საბჭოს დაკომპლექტების არსებული წესი;
- საბჭოს წევრების ვადაზე ადრე გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი, კერძოდ, წევრის გათავისუფლება წარმდგენი ორგანოდან, არ უნდა იყოს საბჭოს წევრობიდან მისი ავტომატური გათავისუფლების საფუძველი;
- საბჭოს საქმიანობის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის უნდა ჰყავდეს საკუთარი სტრუქტურული ერთეული და არ უნდა უწევდეს, დაეყრდნოს სააგენტოში დასაქმებულ ადამიანებს;
- აუცილებელია, დავების განმხილველ საბჭოს გააჩნდეს დამოუკიდებელი ფინანსური რესურსი, რომელიც მოხმარდება საბჭოს წევრების, საბჭოს ფუნქციონირებისთვის საჭირო ექსპერტთა ანაზღაურებასა და სხვა აუცილებელ ხარჯებს;